№ 61
კვირა,
8 ნოემბერი
1909 წ.

მომავალი

№ 61
კვირა,
8 ნოემბერი
1909 წ.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთი ღირს: როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. 1 **ნოემბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში 1 მ. 60 კ. თფილისს გარეთ 1მან. 80 კ. **თვიურათ:** თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც).

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს—მდე 3 მ. ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი:

Тифлисъ, тип. ,,Шрома'', Калистрату Конст. Цуладзе.

წარმოდგენა 14. ქართული თეატრი წარმოდგენა 14.

იაფ-ფასიანი სახალხო წარმოდგენა

კვირას, 6 ნოემბერს 1909 წელს ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მეორეჯერ ახალი პიესა ჰეერმონსისა.

I

სამედის დალუპვა

დრ. 4 მოქ. თარ. დ. მესხისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ბ. ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი, ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, პ. შოთაძე; ბ-ნნი: ვ. გამყრელიძე, ი. გრიშაშვილი, ნ. გვარაძე, ხარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. მურვანიშვილი, მგალობლიშვილი, ვ. მატარაძე, შ. საფაროვი, ვ. ურუშაძე.

ადგილების ფასი: ლოჟები 7 მ. 3 მ.-დე, პარტერი 1 მ. 50 კ.-დე, 50 კ.-დე, გალერეა 40 კ-დან 20 კ-მდე, მოწაფეთათვის 30 კაპ.

დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენათ: „ახალი მოძღვრება“, «პარტიის კაცი?!», «სამეგრელოს მთავარი ლევან».

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამმობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ. შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 10½—11.

ბურკო გ. ა. შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

კარშინი ა. ა. კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

მანსვეტოვი ვ. მ. შინაგანი. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 1—2.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ხ. თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—2½ ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

პოპოვი ბ. ა. ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—2½ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოველ დღე 9—10.

სოგოლევსკი გ. ვ. ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

თიკანაძე ი. ე. დედაკაც. სნებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ ფედოროვი. (100—31)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შლავათიანი საფასურით.

ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის, ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695)

ექ. ხ. ვაშაყმაძე კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

ექ. ი. გომართელი ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავათმყ.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ბ. ა. პოპოვი: ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ვ. ხ. მუსხელიშვილი: სამშაბათს ხუთ. და შაბათს 2—2½ ს.; თვალის ავათმყოფ.

ექ. ე. გ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

(100—31)

ბ-ნ გიორგი ალექსანდრეს-ძე საბახტარიშვილის

უცერემონიო განცხადების გამო (იხ. „ზაკავკ.“ № 222, „ტიფლ. ლისტ.“ 254, „მომავალი“ 60 და „დროება“ 248) იძულებული ვარ ერთხელ კიდევ შევაწუხო პატივცემული საზოგადოება და კლიენტურა, რომ სად. სუმბათოვში მარცხათ დამწვარი სახერხავი ქარხნის სრული პატრონი ვიყავი მე. ბ-ნ გიორგის მიერ ჩამოთვლილ დაწესებულებებს და კერძო პირებს შეეძლოთ მისთვის (რომელიც საუბედუროთ ჩემდა კვიდრი ძმაა) კერძოთ ეკითხათ ამბავი, როგორც ყოფილი კამპანიონისთვის და თუ ვინმე შეეკითხა, ეგეც სავსებით გიორგის ბრალია; როგორც გავიგე ის თურმე ხმასავრცელებდა, რომ სუმბათოვის ქარხანა (რომელიც ნაყიდობითი ხელ-წერილით ვიყიდე) მას ჩემთვის სრულიათ არ მოუყიდნია. ყოველივე ამის შემდეგ ამ ვაჭრული განდიდებით შეპყრობილ ადამიანს იქნებ ვინმე შეეკითხა შენც ხომ არ დაზარალდიო. ვაცხადებ, რომ ჩემს პირველ განცხადებას, რომელიც გამოწვეული იყო თვით გიორგის მიერ **უტაქტო** განცხადებით, სრულებით აზრათ არ ქონია გიორგის ნდობის დაკარგვა, რადგან ეს იქნებოდა თავისივე თავის მტრობა, რადგანაც, რასაც გიორგი აწარმოებს ან აწარმოებდა ყოველივე ეს იყო და არის **საერთო მამის ქონება** და მაშასადამე, წასაგებ-მოსაგებში მეც სრული მონაწილე ვარ როგორც ერთი მემკვიდრეთაგანი.

თუ რა აზრი აქვს ბ-ნ გიორგის განცხადებებს ამას ყველა გონიერი კეთილობილი ადამიანი მიხვდება რისთვისაც ბ-ნი გიორგი სხვაგან მიგებს პასუხს, რაიცა შეეხება მის მიერ ჩამოთვლილ დაწესებულებებს ისინი ყოველთვის კერძოთ ჩემთან აწარმოებდენ სავაჭრო საქმეებს და არასოდეს გიორგის აპეკისთვის არ მიმიმართავს და შემდეგშიც შორს ვიქნები მისი აპეკისაგან და „ძმური“ რჩევა-დარიგებისაგან. ახლო მომავალი და მიუდგომელი საზოგადოების მსჯავრი დაგვანახვებს თუ რომელი ჩვენგანი არის დაშორებული სინდის-პატიოსნებაზე.

ილარიონ ალექსანდრეს ძე საბახტარიშვილი.

თფილისის სახაზინო თეატრი

საოპ. ამხ. ანტ. ეიხენვალდის. გამგ. დღეს 2 წარმოდგენაა: დილით დაკლებულ ფასებში „ჰენზელ და გრეტელ“, საღამოს „მხიარული ქვრივი“ მონაწილეობენ რდი, ვოლსკაია, დევოს-სობოლევა, ელაგინა, ზასლავსკაია, როსტოვსკაია, ფერრარი, შულგინა; ბ-ნნი: ბორისენკო, ბარსოვი, გუკასოვი, დემიანენკო, ევლახოვი, კუზმინი, ობრუბოვი, პევცოვი, ტირაციანი. დილით დასაწყისი 12 საათზე. საღამოს 8 საათზე. ფასები საღამოს ჩვეულებრივი. ხვალ იაფ-ფასიანი წარმოდგენა ძლიერ დაკლებულ ფასებში. 20 კაპ დან. «**კარმენი**», სამშაბათს, 10 ნოემბერს, «**გუგენოტები**“, მზადდება „**კორნევილის ზარები**“.

მმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ხუთშაბათს, 12 ნოემბერს, სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ **გაბუნია-ცაგარლის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

ორი ობოლი

მელოდრამა 5 მოქ. თარგმანი ა. ცაგარლისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი. ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე. **◆ დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათ საღამოს, 21 ნოემბერს. წარმოდგენილ იქნება „**ღალატი**“. სუმბათაშვილისა და სხ.

დაბეჯითებითა ვთხოვთ საზოგადოებას სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში, იმედია, თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი **კ. შათირიშვილი** ადმინისტრატორი **სვირელი.**

ჭიათურაში

გაიხსნა რკინის გზის შკაფი, რომელსაც განაგებს

ისიდორე შილაკაძე.

იქვე იყიდება ყველა ადგილობრივი და სატახტო ჟურნალ-გაზეთები, მიიღება ხელის მოწერა გაზეთ „მომავალ“-ზე და სხვადასხვა განცხადებები „მომავალ“-ში დასაბეჭდათ. (10—3)

კბილის ექიმი

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—9 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

ბათუმში

გაზეთ „მომავალ“-ზე ხელის მოწერა მიიღება რკინის გზის შკაფის გამგე

გიორგი მახარამესთან.

იგივე მიიღებს სხვადასხვა განცხადებებს გაზეთ „მომავალ“-ში დასაბეჭდათ.

(10—3)

Открыта подписка на новую ежедневную Газету на русс. яз.

„НОВАЯ РѢЧЬ“

Отдѣльный № 3 коп.

За мѣсяцъ подписная плата 50 коп.

ГАЗЕТА ВЫХОДИТЪ съ 5 НОЯБРЯ

Адресъ: Тифлисъ Ред. газ. „Новая Рѣчь“ Дворцовая, домъ груз. дворянства.

Ред.-изд. **П. А. Готуа.**

გამოცდილი მასწავლებელი.

ამზადებს და წვრთნის მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისათვის

იკითხეთ ,,მომავალის'' რედაქციაში, რუსის ქუჩა 3. (0—22)

კბილის ექიმი

ს. ვაშაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.

съ 8 ноября въ Тифлисѣ выходитъ ежедневная общественно-политическая газета

НАШЪ КРАЙ

Въ газетѣ принимаютъ участіе какъ мѣстныя литетратурныя, силы, такъ и писатели-публицисты обѣихъ столицъ.

подписная цѣна: Въ годъ въ Тифлисѣ 7 руб. въ провинцію 8 руб. въ мѣсяцъ 75 к. **отдѣльный № 5 коп.**

Адресъ редакціи и конторы: Дворцовая № 6.

ვღებავ თმას

დედაკაცისას და მამაკაცისას შავათ და მიხაკის ფერათ. ადრესი: რუსის ქ. № 3, ბინა 14, იკითხეთ ბუხრაძე. (5—2)

თფილისი, 8 ნოემბერი.

ამ ორი წლის წინათ რუსეთის შავრაზმულმა გაზეთებმა დიდი განგაში ასტეხეს კავკასიის შესახებ. კავკასია ირღვევა, რუსეთს შორდება, გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი ამას ხელს უწყობს, საჭიროა დაუყონებლივ ზომების მიღება, თორემ მერე გვიანღა იქნება, საჭიროა ერთი 2 კორპუსი ჯარის კიდევ გაგზავნა და ხელმეორეთ დაპყრობაო, გაიძახოდენ ისინი. ხარბ გაუმაძღარი ყორნების ჩხავილმა გასჭრა: მთავრობამ მათ ყური დაუგდო, კავკასიის შესახებ უსასტიკესი ზომები იქნა ნახმარი, უსასტიკესი ზომები ნამეტურ გაძლიერდა შავრაზმელების კავკასიის შესახებ დუმაში შეტანილ შეკითხვის განხილვის შემდეგ. ადგილობრივ მთავრობის და ს. დ. დეპუტატების განცხადებას იმის შესახებ, რომ ამდენი და ამდენი 100 ჩამოხრჩობილია, ამდენი და ამდენი ათასი ცივ ქვეყნებშია გაგზავნილი, ამდენი და ამდენი ციხეებში ლპებიან, ყველა ეს საკმაოთ არ მიიჩნიეს და კიდევ ახალი მსხვერპლი მოითხოვეს და ადგილობრივმა მთავრობამაც ეს ყურად იღო და დღეს ჩვენში „სიწყნარეა“. შავრაზმელებმა კავკასია რომ „ხელმეორეთ დაიპყრეს“, მერე გაილაშქრეს, მეორე განაპირა ქვეყანაზე—ფინლიანდიაზე. მთავრობის პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას ფინლიანდიის შესახებ წინ უსწრობს შავრაზმული პრესის გალაშქრება, შემდეგ შეკითხვა და მთავრობაც ბ. სტოლიპინის პირით დუმას არწმუნებს, რომ ზომები იქნება მიღებულიო. ამის შემდეგ იწყება პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. სულ ორი წლის განმავლობაში ფინლიანდიის სეიმი სამჯერ დაითხოვეს, ასე რომ, სეიმს არ მიეცა საშუალება თავის ქვეყნისთვის მომწიფებულ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელი რეფორმების ცხოვრებაში გატარების საშუალება, მას თავიდან უმოქმედობის დაღი დაეკრა გარეშე ძალის წყალობით. გუშინ დეპეშათა სააგენტომ გვაცნობა, რომ სეიმი უკვე დაითხოვეს და ახალი სეიმი 1 მარტს იქნება მოწვეული. იმავე მდგომარეობაშია, იმავე ბედის მომლოდინე უნდა იყოს, როგორც პირველი სამი. მეორე პრაქტიკული ნაბიჯი სეიმის დათხოვნის შესახებ არის დაარსება ეგრეთ წოდებულ შერეული, რუსეთ-ფინლიანდიის კომისიის, სადაც შედიან რუსეთის ბიუროკრატიის წარმომადგენლები და ფინლიანდიის უზომიერესი საზოგადო მოღვაწენი. პირველი სხდომა ამ კომისიისა, თუ არა ვცდებით, მიმდინარე წლის დამდეგს იყო. როგორც ქვა და სეტყვა, ისე შეხვდენ ერთმანეთს რუსი ბიუროკრატები და ფინლიანდიის წარმომადგენელნი და შეხვედრისთანავე იშალენ. მეორეთ უხდებათ შეხვედრა ამ კომისიის წევრებს კიდევ წარსული თვის ბოლო რიცხვებში, მეორედაც წინანდებური სცენაა ორ ნაციის წარმომადგენლებს შორის შემაერთებელი ძაფები არ მოინახა და კვლავ დაიშალენ. ან როგორ შეიძლება შეთანხმება მაშინ, როდესაც რუსი ბიუროკრატები აღიარებენ ძალადობის პრინციპს, ფინლიანდიის წარმომადგენლები კი ეყრდნობიან იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტს. როცა შერიგება არ ხერხდება, იქ ძალა სწყვეტს ყველაფერს და ფინლიანდიაც ამის მოლოდინში უნდა იყოს, მაგრამ რამდენათაც ადვილი იყო კავკასიის „დაპყრობა“, იმდენათ ძნელია ფინლიანდიის „დაპყრობა“. მართალია, ის პატარაა თავის ტერიტორიით და მცხოვრებთა რაოდენობით, მას ჯარი არა ყავს სხვის ჯართან შესაბრძოლებლათ, მას ნივთიერი შეძლებაც იმდენი არა აქვს, რომ ამით ვინმეს გული მოარბილოს, სამაგიეროთ, მას აქვს ძალა კულტურული, მას აქვს მტკიცე შეგნება თავისი უფლების, მას აქვს ისეთი შეურყეველი სოლიდარობა, რომელიც მოწინააღმდეგეს აფიქრებს. ამ ზნეობრივ ძალასთან ფინლიანდიას ყავს საკუთარი ადმინისტრაცია, აქვს საკუთარი სასამართლო, საკუთარი სეიმი და საკუთარი სენატი, მის ხელშია მიმოსვლის ყველა ძაფები. ყველა ამას უნდა დავუმატოთ ფინლიანდიის ევროპასთან ფინანსიური კავშირი და ამ ნიადაგზე წამომდგარი ევროპის ბურჟუაზიის მისდამი თანაგრძნობა ყველა ეს ერთათ აღებული რუსეთის მთავრობას წინ უდგია დაბრკოლებათ, და მისი ნაბიჯებიც ისე სწრაფი როდია ფინლიანდიის წინააღმდეგ, როგორც ეს კავკასიის შესახებ იყო. მიუხედავათ ყველა ამისა უნდა ითქვას, რომ მთავრობა ბოლოს და ბოლოს მოახერხებს ფინლიანდიის დაძლევას, თუ რომ ამის ხელის შემშლელი პირობები არ აღმოჩნდა შიგნით, თვით რუსეთში. ფინლიადიის ბედი მჭიდროთ დაკავშირებულია რუსეთის იმპერიის საერთო მდგომარეობასთან...

სახელმწიფო დუმა

(სააგენტოს დეპეშებიდან)

მეთოთხმეტე სხდომა.

6 ნოემბერი

სახელმწიფო დუმის მეთოთხმეტე სხდომაზე 6 ნოემბერს განაგრძეს ადგილობრივ სასამართლოების რეფორმათა შესახებ კანონ-პროექტის განხილვა. ბულატი იმ აზრის არის, რომ გაუქმებულ იქნას სავოლოსტო სასამართლოები და მათ მაგიერ შემოღებულ იქნას გმინის სასამართლოების ტიპის სასამართლოები, სადაც მცხოვრებნი თვითონ აირჩევენ ღირსეულ მოსამართლეებს.

ბელოუსოვი კრიტიკას ქარ-კეცხლში ატარებს ადგილობრივ სასამართლოთა რეფორმების დებულებას. მოსამართლეების არჩევის შესახებ ის ამბობს, რომ პროექტი არ შეესაბამება ამ პრინციპს, რადგან ძლიერ ვიწრო ფარგლებში აყენებს იმ პირთ, რომელნიც არჩეულ უნდა იქნენ მოსამართლეებათ. მაგალითათ— ამბობს ბელოუსოვი—მემამულე მოსამართლე საბალახოში საქონლის შეშვებისათვის დამნაშავეს ბოლს აადენს ზურგზე.

თავმჯდომარე. გართმევთ სიტყვას.

ბელოუსოვი ცდილობს დაუმტკიცოს თავმჯდომარეს, რომ მის მიერ ნახმარი სიტყვები ლიტერატურულია. თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ტიმოშკინს. დიდხანს ლაპარაკობს ტიმოშკინი და დასასრულ იმედს აცხადებს, რომ დუმა სამართლიანათ მოიქცევა და პროექტს კომისიას დაუბრუნებს. ხასმამედოვი მწუხარებით აღნიშნავს, რომ კანონ-პროექტი არ ვრცელდება განაპირა ქვეყნებზე და მათ შორის კავკასიაზედაც. სკოროპოდსკი ოქტომბრისტების სახელით აცხადებს, რომ ხმას მისცემს სავოლოსტო სასამართლოების გაუქმებას. დასასრულ ის ამბობს, რომ ერთი იმ პირთაგანი, რომელიც ახლა სავოლოსტო სასამართლოების შენახვას მომხრეა, 1907 წელს მოსკოვში ერობის სიეზდზე სულ სხვა თვალით უყურებდა ამ საკითხს და ამტკიცებდა, რომ გლეხები არ ვარგან არც სახელმწიფო და არც საზოგადო

მოქმედებისთვის, რის მოწმეც არის სავოლოსტო სასამართლოები **ხმა მარჯვნიდან**—ვინ იყო ეს? **სკოროპოდსკი** მარკოვი მეორე (მარცხნით სიცილი). გრიმი მომხრეა მომრიგებელ მოსამართლის და შესწორება შეაქვს, შემდეგ ლაპარაკობენ პავლოვიჩი, როჟკოვი, იურკევიჩი და გერასიმენკო. თითქმის ყველანი ერთ პიროვან მომრიგებელ მოსამართლის მომხრენი არიან. გაიდაროვი თავის სიტყვაში აღნიშნავს როგორ უსამართლოთ იქცევიან სასამართლოები დაღესტანის ოლქში და გაკვირვებულია რატომ კანონპროექტი კავკასიაზეც არ ვრცელდება. კადლევეინი დაბეჯითებით თხოულობს საჩქაროთ გადაკეთებულ იქნეს ადგილობრივი სასამართლოები. კარაულოვი აღნიშნავს, რომ როცა რაიმე რეფორმები ხდება რუსეთში, ის ურალის მთებს იქით აღარ მიდის და ციმბირი მუდამ რჩება. ის თხოულობს ადგილობრივ სასამართ. რეფორ. გავრცელ. იქნეს ციმბიზედაც. ლაპარაკობენ ერმოლჩიკი, საველევი და პირჩევსკი. მათი სიტყვების შემდეგ შეაქვთ ორი წინადადება—ერთი ორატორთა სიტყვების განსაზღვრა ათი წუთით და მეორე ორატორთა რიცხვის შემცირება 35-მდე. მეორე წინადადებას ღებულობენ. შემდეგ კითხულობენ ს.-დემოკრატების შეკითხვას საფაბრიკო და სამთო საქმეთა საკრებულოს უკანონო მოქმედების შესახებ, რაიცა გამოიხატა არსებული კანონების წინააღმდეგ ცირკულიარების გამოცემაში. შეკითხვის ავტორები თხოულობენ საჩქაროთ სცნან ის. პრედკალნი აცხადებს, რომ საჭიროა შეკითხვა საჩქაროთ სცნან, რადგან ესეთ ცირკულიარებს არევ-დარევა შეაქვთ და ფრთებს აკვეცს მშრომელი ხალხის უფლებებს.

პროტოპოპოვი თხოულობს, რომ დუმა შეცდომაში არ შევიდეს შეკითხვა კომისიას გარდასცეს. კუზნეცოვი მხარს უჭერს საჩქაროთ იქნას ცნობილი, რადგან ცირკულიარი არღვევს ოცდა ათი ათასი მუშის ინტერესებს. დუმამ ხმის უმეტესობით უარყო შეკითხვის საჩქაროთ განხილვა. სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა დანიშნულია 9 ნოემბერს.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 ნოემბერი.

საზღვარ-გარეთ

ბრიუსელი. დეპუტატთა პალატამ ხანგრძლივი კამათის შემდეგ მიიღო წინადადება ბერების და სამღვდელოების მიერ სამხედრო ბეგარის მოხდის შესახებ.

პარიზი. დეპუტატთა პალატაში ბიუჯეტის განხილვა გრძელდება. მომხსენებელი დუმერი უპასუხებს ჟორესს, რომელიც საგარეო პოლიტიკის ნეიტრალობას მოითხოვდა და აღნიშნავს, რომ ორი წლის სამსახური საფრანგეთის ჯარს არ ასუსტებს. ნეიტრალურ საფრანგეთის შეძლება არ ექნება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს. ნეიტრალათ დარჩენა ნიშნავს გაუგებარ პოლიტიკის წარმოებას, ე. ი. მეგობრების დახმარებაზე ხელის აღებას იმ დროს, როდესაც საფრანგეთი მათგან იღებს დახმარებას. საფრანგეთმა შესაფერი როლი უნდა ითამაშოს საგარეო პოლიტიკაში. დუმერი ამტკიცებს არა პირდაპირი გადასახადების შემოღების საჭიროებას.

რომი. მინისტრ პრეზიდენტმა დეპუტატთა პალატაში წინადადება შეიტანა გადასახადების რეფორმის შესახებ. აზრათ აქვთ შაქრის აქციზის დაკლება და შემოსატანი გადასახადის შემცირება. შემოღებული იქნება პროგრესიული გადასახადი შემოსავალზე, რომელიც 5,000 ლირს აღემატება.

ვაშინგტონი. ორი ამერიკელი, რომლებმაც ნიკარაგუას რევოლიუციონურ ჯარს დახმარება გაუწიეს, რესპუბლიკის პრეზიდენტმა სიკვდილით დასაჯა. ამიტომ ნიკარაგუაში საჩქაროთ გაიგზავნა ამერიკის ორი სამხედრო გემი.

პარიზი. დეპუტატთა პალატა იხილავს ბიუჯეტს. ბრიანმა კითხვა დასვა ნდობის შესახებ. მორიგ საქმეებზე გადასასვლელი ფორმულა, რომლითაც უარს ყოფდენ ახალ გადასახებს, მთავრობას უკან მიაქვს. პალატამ დაადგინა, შეუდგეს ბიუჯეტის მუხლებრივ განხილვას.

რუსეთი

პეტერბურგი. გაზეთი „ნოვ. როსია“ სწერს: კმაყოფილების გრძნობით წაიკითხავენ რუსეთში მიუნხენიდან გამოგზავნილ დეპეშას, რომლითაც იტყობინება, რომ ბავარიის რეიხსტაგმა ერთხმათ უარყო დეპუტატთა პალატის წინადადება რუსეთისათვის დამნაშავეთა გადაცემის შესახებ. რუსეთის საზოგადოებას, რასაკვირველია, არ სჯეროდა, რომ ამ კითხვის წამოყენებას დემონსტაციის ხასიათი ექნებოდა მეფის ბავარიაზე გავლის დროს. მინისტრ პრეზიდენტის სიტყვა, რომელშიაც მან განაცხადა, რომ ბავარიის მთავრობა დიდ მნიშვნელობას აძლევს რუსეთთან კარგ განწყობილების დაჭერასო, ცხადს ყოფს, რომ ბავარია რუსეთთან მტრულ განწყობილებაში არ არის.

პოლტავა. ადგილობრივ სასულიერო სემინარიაში სწავლა შესწყდა. ორი უფროსი კლასებიდან მოსწავლენი დაითხოვეს. მათ პეტიცია წარუდგინეს სემინარიის მთავრობას, რომელიც უკმაყოფილებას აღნიშნავდა სემინარიის შინაური წყობილებით. რევიზორ ორნავსკის და და რექტორის დარიგებას მოსწავლენი მკაცრი სიტყვებით შეხვდენ. მოელიან განკარგულებას სემინარიის დახურვის შესახებ.

პეტერბურგი. სენატმა უშედეგოთ დასტოვა პროკურორის პროტესტი და ივკოვის საკასაციო საჩივარი, რომელსაც დედის მოკვლისათვის 12 წლ. კატორღა ქონდა გადაწყვეტილი. უმთავრესმა სამხედრო სასამართლომ დაარღვია მოსკოვის სამხედრო სასამართლოს დადგენილება გლეხ ოჩაგოვის შესახებ, რომელსაც სიკვდილი ქონდა გადაწყვეტილი. იმავე სასამართლომ უშედეგოთ დასტოვა გლეხ ვასილკოვების საჩივარი, რომელთაც სევასტოპოლის სამხედრო სასამართლოსაგან სიკვდილი ქონდათ გადაწყვეტილი.

ნოვოჩერკასი. სად. ნოვოჩერკასსა და სულინს შორის საქონლის მატარებელი დაეჯახა მეორე მატარებელს. დაიმტვრა თორმეტი ვაგონი და ორი ორთქმავალი. მძიმეთ დაიჭრა სამი მოსამსახურე.

პეტერბურგი. დღეს საოლქო სასამართლოში პირველათ გამოვიდა ქალი დამცველი. ბრალმდებელმა ამის შესახებ პროტესტი განაცხადა. სასამართლომ პროტესტი უყურადღებოთ დასტოვა. პროკურორის ამხანაგმა დარბაზი დასტოვა.

უკანასკნელი ფოსტა

ოსმალეთი

სიკვდილით დასჯის შეცვლა. ხუთ სომეხს, რომელთაც ადანაში სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს—სასჯელი კატორღათ შეუცვალეს.

ადანელების უბედურება. ადანაში ხელ-ახალი წყალდიდობის გამო დიდი უბედურება დატრიალდა. დაინგრა ხუთას შენობამდე. დაინგრა, სხვათა შორის, ის შენობები, რომელშიაც გაზაფხულზე მომხდარ აწიოკების მსხვერპლნი იყვენ მოთავსებულნი. ზარალი ოთხ მილიონს უდრის.

მეჯლისის გახსნის გამო. სპარსეთის ელჩმა მეჯლისის გახსნის გამო სადღესასწაულო სადილი გამართა, რომელზედაც ოსმალეთის წარჩინებული პირები მიიწვია.

კრიტოსის საკითხი. მთავრობამ ზომები მიიღო, რომ კრიტოსის შესახებ შეკითხვა ამ ჟამათ არ იქნას შეტანილი. საბერძნეთის შესახებ მფარველმა სახელმწიფოებმა ოსმალეთის ნოტას წერილობითი პასუხი არ გასცეს, მხოლოდ სიტყვიერათ განაცხადეს, რომ კრიტოსის საკითხის გადაწყვეტის მომენტი ჯერ არ დამდგარაო. პორტა მაინც დაბეჯითებით მოითხოვს ნოტაზე პასუხი გასცენ.

ოსმალეთის პარლამენტში. ოსმალეთში პარლამენტის მეორე სესია გაიხსნა. პარლამენტში ახალი პარტიები დგება. ასამდე ალბანელი და არაბელი დეპუტატები ნაციონალურ პარტიას აარსებენ.

სპარსეთი.

მეჯლისის გახსნა. როგორც დეპეშებიდან ვიცით, 2 ნოემბერს თეირანმა ბრწყინვალეთ იდღესასწაულა ახალი მეჯლისის გახსნა. არჩევნები თუმცა მთელ სპარსეთში დასრულდა, მაგრამ მეჯლისის გახსნას მხოლოდ დეპუტატების ორი მესამედი დაესწრო. სეფე-სიტყვა წაიკითხა მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე სეპეხდარმა. მან თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მეჯლისის გახსნას მთელი სპარსეთის განახლება და დამშვიდებული ცხოვრება მოყვებაო.

რუსეთი.

დუმის გარშემო. სახელმწიფოს დაცვის კომისიის სხდომაზე მარკოვმა მეორემ წინადადება შეიტანა, რომ ებრაელებს აეკრძალოთ სამხედრო მედიკურ აკადემიაში შესვლა და სამხედრო ექიმების თანამდებობის დაჭერა. მარკოვის წინააღმდეგ ილაპარაკეს ბობიანსკიმ და ხვოშჩინსკიმ. კომისიის დიდმა უმრავლესობამ გუჩკოვის მეთაურობით მარკოვის წინადადება მიიღო.

— საბიუჯეტო კომისიამ დაადგინა ვაჭრობა-მრეწველ. სამინისტროს ხარჯთაღრიცხვიდან გამორიცხოს ხარჯი მინისტრის მესამე ამხანაგის, მილერის შესანახათ დანიშნული, შეამციროს მინისტრთა საბჭოს წევრის ლანგოვოის ჯამაგირი 6,000 მანეთით და 3,000 მანეთით—მინისტრის ბინის ხარჯი.

— შეკითხვების კომისიამ კავკასიის სამოსწავლო საქმეების შესახებ შეტანილ შეკითხვაზე მომხსენებლათ დანიშნა დეპუტატი ფილიპენკო.

ფინლიანდიის კრიზისი. ფინლიანდიის მდგომარეობა მთელი რუსეთის ყურადღებას იპყრობს. გაზეთები ერთი მეორეს ეჯიბრებიან წინასწარმეტყველობაში, თუ რა ზომებს მიიღებს რუსეთის მთავრობა ფინლიანდიის წინააღმდეგ. სატახტო გაზეთების სიტყვით, სტოლიპინს ჯერ კიდევ ყირიმში ყოფნის დროს გადაუწყვეტია ბეკმანის თანამდებობიდან გადაყენება და მის ადგილზე კლეიგელსის დანიშვნა.

ფინლიანდიის გაზეთები იტყობინებიან, რომ მოსალოდნელია სეიმის უფლებების შეზღუდვა. სეიმს სათათბირო დაწესებულებათ გახდიან; რომლის აზრს შემდეგ სახელმწიფო დუმა და საბჭო განიხილავს. ამბობენ, სტოლიპინი ამ პროექტის მომხრეაო. იმავე გაზეთების სიტყვით, სტაროფინი სენატორები სამსახურიდან დაუთხოვიათ.

არეულობა სემინარიაში. „ბაქოს“ დეპეშით ატყობინებენ, რომ სტავროპოლის სემინარიაში არეულობამ იფეთქა.

მატარებლის ქვეშ. 31 ნოემბერს, დღით, ნიკოლაევის რკინის გზის სადგურზე მომავალი მატარებლის ბორბლებში განზრახ ჩავარდა კარგათ ჩაცმული 18 წლის ქალიშვილი. საცოდავი მატარებელმა შუაზე გადაჭრა. ჯიბეში მას წერილი აღმოაჩნდა, რომელშიაც შემდეგი ეწერა: „მშვიდობით, ბიცოლა კატო! შეატყობინეთ დედაჩემს ჩემი სიკვდილი, ილოცოს თავის საცოდავი შვილისათვის. მან იცის ჩემი თავის მოკვლის მიზეზი“. ქალიშვილის ვინაობას პოლიცია იძიებს.

რაც მოხდეს, მოხდეს! ს. ლაგონეშტის (კიშინიევის მაზრა) გლეხებმა დიდ ხანს ითმინეს მამასახლის გაბურიჩისაგან ტყავის ძრობა და ყოველგვარი დამცირება. ბოლოს საერობო უფროსთან იჩივლეს. დაწვრილებით მოიხსენიეს თუ როგორ სცემდა გაბურიჩი გლეხებს, საზოგადო ფულებს თითონ ხმარობდა და საუკეთესო მიწის ნაჭრებს გაყოფის დროს თვითონ ისაკუთრებდა. გლეხები თხოულობდენ თავიდან მოეშორებიათ მათთვის სისხლის მსმელი მამასახლისი. საერობო უფროსმა თხოვნა უყურადღებოთ დასტოვა. მამასახლისმა კი თხოვნის შემდგენელი გლეხების გვარი გაიგო, სათითაოთ დაიბარა კანცელიარიაში და გაამათრახა. გლეხებმა ყრილობა მოახდინეს, დაიბარეს მამასახლისიც და უთხრეს: „მოიხსენი ნიშანი (მამასახლისის) და თანაშემწეს გადაეცი, შენ კი თავიდან მოგვცილდიო“. მამასახლისს უარის თქმა არ გაუვიდა. კრების მოთხოვნილებებს დაემორჩილა. მოიხსნა ნიშანი და დანიშნულებისამებრ გადასცა, თვითონ სიხლისაკენ გაემართა. ზოგიერთი გლეხი ამით არ დაკმაყოფილდა. „მამასახლისი ერთი კარგათ უნდა „დაგვეზილაო“—იძახდენ. გამოჩნდენ ისეთები, რომლებმაც ეს სურვილიც შეასრულეს. მიეწიენ გაბურიჩს და „დაზილეს“. საერობო უფროსს მოახსენეს, ლაგანეშტის გლეხები აჯანყდენო. უფროსმა რა-

---

⁂

დე, ცამ წყრომით დაიქუხოს!
დე აბრძოლდეს რისხვით ქარი!
გლოვის ზარმა შეაშფოთოს
არა-მარე, მთა და ბარი,—
გული მაინც არ გატყდება
და არ დასთმობს წმინდა სურვილს!
კიდევ უფრო გაალვიძებს
ძალთ გზნებას და ბრძოლის წყურვილს!
დე, ცამ რისხვით დაიქუხოს!
დე, აბრძოლდეს სტიქიონი!
დე, ყოვლის მხრით მომესიოს
მტერთა ჩემთა ლეგიონი.
ხმალთა ქაჯნი, წყალთ ვეშაპნი
და ჰაერთა ჯადო-ქარნი
რისხვით თავსა დამკიოდენ,
ცეცხლს მაფრქვევდენ, შესაზარნი!—
გული მაინც არ გატყდება:
არ ჩაიქრობს წმინდა სურვილს!
კიდევ უფრო გაიღვიძებს
და აღიგზნებს ბრძოლის წყურვილს!..
ვით დახვეული ნაღვერდალში
ღვივის, ხოლმე, ნაკვერცხალი
იმისთვის, რომ თავის დროზე
აგუზგუზდეს მისგან ალი:
გარს კოცონი გააჩაღოს,
სინათლის და სითბოს მდენი,
გაიფანტოს მით წყვდიადი,
ირგვლივ იდგეს რაოდენი!..
კაცის გულიც არის იგივ
დახვეული ნაღვერდალი,
თუ იმასში არ გამქრალა—
ჯერ ღვთიური ნაპერწკალი!
მოვა დრო და აღიგზნება
მისგან ცეცხლის შადრევანი,
და მყის ქვეყნის ავს და კარგს შეაც
შეიცვლება „არჩევანი“:
ის რაც ქვეყნის სიკეთის სახლს
დღეს ესვევა ჭია-მტრადა,
მას ხვალ ვნახავთ ფერფლათ ქცეულს
და ძირს დაყრილს ნაცარ მტვრადა;
ის კი... რაც დღეს, გულ ნაკრთობი,
სდგას მოწყენით, თავდახრილად,—
ხვალ ვნახავთ, რომ მიიწევდეს
კვლავ წინ მედგრათ, ფრთა-გაშლილად!..

ნ. ზომლეთელი.

დედა

(მოთხრობა).

მთელი დღე გამუდმებით წვიმდა. დასავლეთის ცივი ქარის სამგლოვიარო ზმუილი, ატალახებული ქუჩები, წვიმისაგან დასველებული სახლები და თითქოს ჭუჭყიან მჩვრებით მოფენილი, მოპირქუშებული ცა, უზომო სევდას გვრიდა ადამიანს. სოფელი ხრეშიეთი ნამდვილ სასაფლაოს მოგაგონებდა კაცს. მხოლოდ აქა იქ ისლით დახურულ ქოხებიდან ამონადენ კვამლზე შეატყობდი, რომ ამ სოფელში ცოცხალი ადამიანები ცხოვრობდენ. სტიქიის ძლიერებას ყველა დაეფრთხო, ყველას ქოხებში შეეფარებია თავი, არავითარი სულდგმული გარეთ არ სჩანდა. ცივ ქარს თითქოს ეგრძნო თავისუფლება, გულ საკლავ ზმუილით ჩაუვლიდა სოფელს, აქა იქ სახლის სახურავს ათამაშებდა, მძლავრათ დაეჯახებოდა ხეებს და იქვე ახლოს ტყის გულში ჯოჯოხეთურათ ჩაიხითხითებდა და თითქოს დროებით ხმას ჩაიკმენდდა, რომ ძალა მოეკრიფა და უფრო ძლიერათ დასჯახებოდა თავპირ ჩამომტირალე ქოხებს.

ბერიკაძის ქვრივის ფარღალალა ქოხში ჩამქრალ კერას მისჯდომოდა სამი ბავშვი და სიცივისაგან საშინლათ ძიგძიგებდენ. ტანისამოს შემოფლეთილი, ფეხშიშველა სამივე მაგრათ ეკვროდა ერთმანეთს და ხმა გაკმენდილი ყურს უგდებდენ ქარის საზარელ ზმუილს. ყოველ ხმაურობაზე სამივე თაგვებივით წამოყოფდენ თავს და კისერ გაჭიმული მიაშტერდებოდენ ღია კარებს. უფროსი, რომელსაც სახელათ სანდროს ეძახდენ, იქნებოდა ასე თორმეტი წლის, შუათანა—გრიშა შვიდი წლის, ხოლო უმცროსი—გოჩა ოთხი წლის. სიგამხდრის გამო სამივეს სახე ბებერსავით დანაოჭებული ქონდათ და პირველ შეხედვაზედვე სიბრალულს იწვევდა ადამიანის გულში. ტიტველა, დამსკდარი ფეხები ნაცარში ჩაეფლათ და სიცივისაგან მაგრათ ეკვროდენ ერთი მეორეს.

პატარა გოჩას ძილი შეეპარა და თავი ჩაქინდრა.

— გოჩა! მოიცა ბიჭო, ნუ დაიძინებ, დედა მოვა და მჭადს მოგვიტანს მოდი ჩამეხუტე და გათბები—უთხრა სანდრომ და მაგრათ მიიკრა.

— არ მინდა! ბუზღუნით წამოიძახა გოჩამ, გაეშვებინა და კარებისაკენ წავიდა. მივიდა კარებთან, აეტუზა და გულსაკლავი ხმით დაიწყო: „დედააააა! დედაააა!

— ბიჭო სანდრო, მშია!—წამოიძახა გრიშამ და ხარბათ პირი გააცმაჭუნა.

— მეც მშია, მარა რა ვქნა. მოვა დედა ფქვილს მოიტანს და კვერს გამოგიცხობს. მოიცადე ცოტა.

— მგლები ხომ არ შეჭამდენ ნეტა დედას?

— დეიღუპე! რას ამბობ ბიჭო? მგლებს რა უნდა აქ?

— მაშ, რა არის რომ ზმუის? მგლები არ არიან?

მგლების ხსენებაზე გოჩამ ხმა გაკმინდ თვალები დააჭყიტა.

— აი შე სულელო, მგლები კი არა ქარია, ქარი!

— მერე ქარს პირი აქვს, რომ ზმუის?

— რა ვიცი მე აქვს თუ არა. ზმუის და პირი რომ არ ქონდეს, ისე როგორ დაიზმუვლებს?

ორივენი გაჩუმდენ.

— დედააააა! დედააააა!—გაისმა ისევ გოჩას გულსაკლავი ხმა.

— გაჩერდი ბიჭო!—ველარ მოითმინა სანდრომ: წამოდგა, მივიდა კარებთან და ხელი მოკიდა, რომ წამოეყვანა, მაგრამ პატარა გოჩა გაძალიანდა, გაეშვებინა და გარეთ გავიდა. ჩაჯდა კარებთან და ქარის სამგლოვიარო ზმუილთან ერთად კვლავ გაისმა მისი—დედააააა! დედაააა!

— ქარმა თითქო იგრძნო პატარა გოჩას გულსაკლავი ძახილი, ერთი მძლავრათ დაუბერა, ქოხის კარებს ჩამოუარა, პატარა გოჩას დაფლეთილი პერანგი ააპროწიალა და გამხდარ ტანზე ცივათ ემბორა. გოჩას გააჟრჟოლა და საცოდავათ მოიკუნტა.

— დედააააა! დედააააა!—გულსაკლავად გასძახოდა გოჩა სიბნელეში—მის ხმას ბანს აძლევდა მხოლოდ ქარის საზარელი ზმუილი.

— შემოდი ბიჭო სახლში—გაჯავრებით დაუყვირა სანდრომ და კარებს მიადგა.

გოჩა ადგილიდან არ იძროდა.

— მაშ, იყავი მაქ, ნახე თუ ტურებმა არ შეგჭამონ. სანდრო გამობრუნდა და ჩაჯდა კერასთან.

გოჩამ ხმა გაკმინდა. თვალები სიბნელეში მიაშტერა და შეკრთა. ტურების ხსენებამ ის შეაშინა. ის წამოდგა, შემოვიდა სახლში და კარების ახლო კუთხეში აეტუზა.

— დედააააა! დედააააა!—კვლავ გაისმა გოჩას გულის მომწყვლელი ხმა.

— არ გაჩუმდები ბიჭო?—ბრაზიანათ დაუყვირა სანდრომ.

— დედა მინდა! დედა!—ბუზღუნით წარმოსთქვა გოჩამ და ჭუჭყიანი სახელოთი თვალების წმენდა დაიწყო.

— მოიცადე და მოვა.

— დედააააა! დედააააა!—გაისმა ისევ პატარა გოჩას გულსაკლავი ხმა.

— მცივა!—წამოიძახა გრიშამ და საცოდავათ მოიკუნტა კერასთან.

ქარმა ძლიერათ დაუბერა, ეხეთქა ქოხის კარებს და საშინლათ მიაჯღლაბუნა. გოჩამ ხმა გაკმინდა. სამივემ შიშით თვალები დააჭყიტეს და კარებს მიაშტერდენ.

— ქარი იყო—ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა სანდრომ.

— დედააააა! დედააააა!—დაიწყო ისევ, სანდროს სიტყვებით წათამამებულმა გოჩამ.

ცოტა ხნის შემდეგ ვიღამაც კარები მოსწია, ბავშვებმა ყურები ცქვიტეს და ფეხზე წამოდგენ. სამივეს გული ისე უცემდა, თითქოს გადმოვარდნას ლამობსო. გოჩამ ხმა ჩაიკმინდა. ბავშვებმა თითქოს იგრძნეს რაღაც. კარები გაიღო და ქოხში შემოვიდა თავიდან ფეხებამდე გაწუწილი შავებში ჩაცმული ქალი. ბავშვებმა სიხარულით შესძახეს და გარს შემოეხვიენ. ქალმა აიყვანა პატარა გოჩა, გულში ჩაიკრა და გრძნობით ჩაკოცნა.

— იტირე დედა? მოგიკვდეს შენი დედა! მოკვდით შიმშილით?

— იმისთანა მოგვშივდა დედა, რომ თავი გვტკივა—უთხრა სანდრომ. გოჩა ვერ გავაჩერეთ არ იქნა, სულ ტირის და ტირის.

— მეც საშინლათ მშია, მარა არ მიტირია დედა—კვეხნით წარმოსთქვა გრიშამ და მამაცურათ წელზე ხელები შემოადგა.

— კაი ხარ შვილო, კაი!—თქვენ გენაცვალოს თქვენი დედა! ნუ გეშინიათ შვილებო. მოგიკვდეთ ჩემი თავი, ცეცხლი არა გაქვთ?

მან საჩქაროთ მიიყვანა გოჩა დასვა კარებთან და გარეთ გავიდა. მიამტვრია

მოდენიმე გლეხი დაატუსაღა, შემდეგ გლეხები შეაგროვა და უთხრა: „თქვე სულელო, „ბუნტოვშჩიკებო“? გაბურიჩი მამასახლისათ იყო და კიდევაც იქნება“. ამ სიტყვებთან ერთად გაბურიჩს თანამდებობის ნიშანი დაუბრუნა. როგორც კი საერობო უფროსი სოფელს გასცილდა, გლეხებმა გაბურიჩს ისევ ჩამოართვეს ნიშანი.—რაც მოხდეს, მოხდეს! ამისთანა მამასახლისი არ გვსურსო,—გადასწყვიტეს გლეხებმა.

თანამედროვე სტატისტიკა. წინა თვეებთან შედარებით ოქტომბერში სიკვდილით დასჯილთა რიცხვი შესამჩნევლათ გაზდილა. სამხედრო-საოლქო სასამართლოებს აგვისტოში სიკვდილი გადაუწყვეტია 63 კაცისათვის, სექტემბერში—134-თვის და ოქტომბერში—136-თვის. მიმდინარე წლის 10 თვის განმავლობაში სულ სიკვდილი გადაუწყვეტიათ 1174 კაცისათვის, აქედან უკვე დაუსჯიათ 462 კაცი

გასულ თვეში დაუჯარიმებიათ 12 პერიოდული გამოცემა სულ 6,400 მანეთით. წლის დასაწყისიდან დღემდე 155 შემთხვევა ყოფილა დაჯარიმებისა, რომლის საერთო რიცხვი 71,725 მანეთს უდრის-(რ).

ახალი ამბები

სახელოსნო სკოლის დირექტორის მოხსენება. 6 ნოემბერს მოხდა შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და სამოსწავლო კომისიისა, სადაც სახელოსნო სკოლის დირექტორმა მოხსენება წაიკითხა შიოევის სახელობაზე სკოლის აგების შესახებ. მომხსენებლის წინადადებით სასურველათ იცნეს სამხატვრო სკოლის აგება. ამ საქმისათვის აირჩიეს კომისია, რომელშიაც შედიან დირ. აკუნოვი, ს. დანდუროვი და ა. ფირალოვი.

✦ **საბავშო საავთმყოფო ზუბალოვის სახელობაზე.** ქალაქის გამგეობა ზომებს ღებულობს ხსენებულ საავათმყოფოს შენობის აგების დასაჩქარებლათ. ამ საქმისათვის 1 ნოემბრამდე დახარჯულია 9,000 მ.

✦ **თფილისის სამკურნალო განყოფილება** ექიმებს გზავნის თფილისის მაზრაში გაჩენილ ავათმყოფობების გამოსარკვევათ.

✦ **ქართული წარმოდგენა.** დღეს ქართულ თეატრში გაიმართება სახალხო წარმოდგენა ძლიერ დაკლებულ ფასებში. წარმოდგენილ იქნება ჰეერმანის პიესა „იმედის დაღუპვა“

✦ **ტოტომიანცის ლექციები.** ახლო მომავალში ბ. ტოტომიანცი წაიკითხავს 2 ლექციას „კოოპერაციების განვითარება საზღვარ-გარეთ და რუსეთში“.

✦ **ყოფილ დეპუტატის გასამართლება.** 2 ნოემბერს პიატიგორსკში საოლქო სასამართლოში დაიწყეს გარჩევა საქმის ყოფილ დეპუტატის ვ. ნედონოსკოვისა, რომელსაც ესაულ კ—ს ცოლის მკვლელობა ბრალდება. საქმის გარჩევას აუარებელი ხალხი ესწრება. („ტ. ლ.“)

✦ **სამსახურიდან დათხოვნა.** ტრამვაის დირექციამ 15 კაცი სრულიად დაითხოვა სამსახურიდან, რადგან მათ ახალ პირობებს ხელი არ მოაწერეს.

✦ **საბჭოს სხდომა.** ქალაქის საბჭოს მომავალ ხდომაზე გაარჩევენ გუბერნატორის უკანასკნელ წინადადებას ხმოსან ნ. ელიავას საბჭოდან გამორიცხვის შესახებ.

✦ **ქალაქის გამგეობამ** წინადადება მისცა მიწის მზომელს გეგმა შეადგინოს იმ მიწებისა, რომელნიც ქალაქს დაუთმეს, იმის გამო რომ საბურთალოსა და დიდუბის შუა ხიდის აგებას აპირებენ.

✦ **გადამდები ავათმყოფობა.** თფილისში, როგორც მაგ. ტიფი, ყვავილი და სხვა ვრცელდება. ამგვარი ავათმყოფობა ყველაზე უფრო მე-9 უბანშია გავრცელებული.

✦ **ჟურნალისტების კრება** დანიშნულია დღეს ქალაქის თვითმართველობის შენობაში. სხდომა დღის 11 საათზე დაიწყება.

✦ **ბაზრობა სოფლათ.** ს. იანეთიდან (ქუთ. მაზრა) გვატყობინებენ რომ იქ საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს კვირაობით ბაზრობის დაარსების ნებართვისათვის. გარდა ამისა, რადგან სოფელს ახლო რკინის გზა ჩაუვლის, მცხოვრებლები რკინის გზის ბაქანის სადგურათ გადაკეთებას თხოულობენ.

✦ **რუსულ საგეოგრაფიო საზოგადოების** კავკასიის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება მოხდება დღეს, რომელზედაც კ. ა. სატუნინი წაიკითხავს მოხსენებას შავი ზღვის ნაპირზე მისი გამოკვლევების შესახებ.

✦ **„არტისტიულ საზოგადოების“** მამასახლისთა საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეულია ი. მ. დოლუხანოვი.

✦ **ახალი კალენდარი.** გამოვიდა 1910 წ. ახალ შედგენილი სომხური კალენდარი, რომელშიაც 26 სომეხ მწერალის სურათები და მათი თხზულებანია მოთავსებული. კალენდრის ფასი 20 კ.

✦ **ქალაქის გამგეობამ** გადასწყვიტა მომავალ 19 ნოემბრის საბჭოს კრებაზე წარუდგინოს განსახილველათ ხარჯთ-აღრიცხვა, რომლის შესახებ ფინანსიურ კომისიას თავისი შენიშვნები დღემდის უნდა წარედგინა, მაგრამ დააგვიანა.

✦ **თფილისის სასულიერო სემინარიაში** დღეს სულ 390 მოწაფე ითვლება. მათ შორის 280 ქართველია.

✦ **სულიერ მამათა სიეზდი.** სასულიერო წოდების წარმომადგენელთა სიეზდი თფილისში მოხდება 12 ნოემბერს.

✦ **წაბლის ხის სანერგეს გაშენება.** კავკასიაში მიწათ-მოქმედების მთავარ გამგის რწმუნებულმა არხიპოვმა შუამდგომლობა აღძრა სამიწათმოქმედო მთავარ გამგეობის წინაშე, რათა სესხი გაიღონ ამიერ კავკასიაში წაბლის ხის სანერგეების მოსაშენებლათ.

✦ **საქონლის ჭირთან საბრძოლველათ** ერევნის გუბერნიაში მთავრობის მიერ გაგზავნილნი არიან ბეითალი ექიმები: გრომოვი და არხანგელსკი.

✦ **ბათუმის ნავთსადგურის გადაკეთება.** როგორც გაზ. „რეჩი“ გადმოგვცემს, ბათუმის ნავთსადგურის გადასაკეთებლათ $7\frac{1}{2}$ მილიონი მანეთი გადაუდვიათ.

✦ **წარმოდგენის ნებართვა.** კავკასიის უმაღლეს მთავრობის მიერ წარმოსადგენათ ნებადართულია სუნდუკიანცის პიესა „თავისუფლება და სიყვარული“.

✦ **სახალხო წარმოდგენების გამმართველი წრე.** კვირას, 15 ნოემბერს თფილისის სათავად-აზნაურო ბანკში დილის 11 საათზე დანიშნულია ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის წევრთა კრება. კრების საგანია: წრის წესდების მუხლების შეცვლა, ახალი წევრების მიღება, გამგეობაში სცენის მოყვარეთა წარმომადგენელთა არჩევნები და სხვა.

✦ **იუბილეიში მონაწილეობის მიღება.** „თფილისის საკრებულოს“ მამასახლისთა საბჭომ ქ. გაბუნია-ცაგარლის დღესასწაულში მონაწილეობის მიღებისათვის დეპუტაცია აირჩია, რომელიც იუბილიარს ადრესს მიართმევს.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ნ. აზიანის 2 მოქმედებიანი ახლათ დაბეჭდილი პიესა „სამშობლოს ბურჯი“. გამოცემა არ. კალანდაძის წიგნის მაღაზიისა. ფასი 10 კ.

✦ **შეპყრობა.** 5 ნოემბერს პოლიციამ შეიპყრო თფილისის მოქალაქე მ. ბოლოტინი, რომელიც ადმინისტრატიულათ იყო გაგადასახლებული თფილისიდან. მას სამართალში აძლევენ.

✦ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** 6 ნოემბერს ჩხრეკის დროს პოლიციამ შეიპყრო 28 კაცი, რომელთაც პასპორტები არ აღმოაჩნდათ.

✦ † **იოსებ (ტატო) გაბაშვილი.** 5 ნოემბერს მიწას მიაბარეს იოსებ (ტატო) გაბაშვილი. იოსები თუმცა მოხუცი იყო, მაგრამ მისი სიკვდილი მაინც უდროო იყო ყველასათვის. იოსები მეტად გულკეთილი და პატიოსანი ადამიანი იყო. ის მუდამ მზად იყო, რითაც კი შეეძლო დახმარება გაეწია გაჭირვებული ადამიანისთვის. ამით კი ჩვენს დროში ბევრი ვერ ისახელებს თავს,—თუ წაქცეული გნახეს, წიხლს ჩაგცხებენ. სწორეთ ამიტომ იოსების დასაფლავებამ აუარებელი ხალხი მიიზიდა. კუბო რამდენიმე გვირგვინით შეამკეს. დასაფლავებაზე სიტყვა წარმოსთქვა ასლან კალანდაძემ, რომელმაც მკაფიოთ აღნიშნა განსვენებულის ღირსება. საუკუნო განსვენება პატიოსან მოხუცს.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ დეპეშებში ბავარიის ზედა პალატის სხდომის ანგარიშში შეცდომა შეგვეპარა. მიუნხენიდან დეპეშაში ნათქვამია, თითქოს ზედა პალატამ ერთხმათ მიიღო ქვედა პალატის წინადადება რუსეთ-ბავარიის ხელშეკრულობის გაუქმების შესახებ, რომლითაც დამნაშავენი რუსეთის მთავრობისათვის უნდა გადაეცათ. ნამდვილათ კი, ზედა პალატამ ხმის უმეტესობით უარყო ქვედა პალატის წინადადება.

ჟურნალისტთა კრების გამო.

გაკვრით.

შეიძლება მოგეხსენებათ, რომ თფილისში არსებობს ჟურნალისტთა საზოგადოება, თუმცა ძალიან კი მეეჭვება მეეჭვება, რადგან მას არაფრით გამოუჩენია თავი და არც ყურადღება დაუმსახურებია. მისი ინიციატორების და დამაარსებლების აზრი იყო ამ საზოგადოების დახმარებით დაეახლოვებინათ ერთმანეთისათვის ადგილობრივი პრესის მოღვაწენი, შეეტანათ ამ სფერაში ზნეობრივი სიფაქიზე და ერთმანეთის პატივისცემა, დახმარება აღმოეჩინათ ამხანაგებისათვის გონებრივ განვითარებაში და აგრეთვე შეძლების და გვარათ მატერიალური დახმარებაც გაეწიათ ხელმოკლე წევრთათვის. ყოველივე ეს ჩვენებური მწერლობისათვის მეტათ საჭიროა, მაგრამ, სამწუხაროთ, არა თუ ყველა, ერთი მათგანიც კი ვერ შეასრულა ახალმა საზოგადოებამ. მისი დღევანდელი არსებობა ლეტარგიაში ჩავარდნილ ადამიანს მოგვაგონებს. ის არც ცოცხლებში წერია და ვერც მკვდრათ მიიჩნევთ, რადგან მაინც არსებობს, აქვს წესდება და ყავს არჩეული გამგეობა.

რით უნდა აიხსნას ასეთი მდგომარეობა? ნუ თუ არც ერთი ის, რაც ზევით ჩამოვთვალე, არ არის საჭირო ჩვენებური ჟურნალისტებისათვის? არა მგონია ასეთი პასუხი ვინმემ მოგვცეს. პირიქით, დარწმუნებული ვარ, რომ ყველა გრძნობს ასეთი საზოგადოების საჭიროებას და არა ნაკლებ ჟურნალისტებისა, მკითხველებიც. ესენიც დაინტერესებული არიან ყველა იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, რომელნიც—ზევით აღვნიშნეთ, მკითხველებისათვის საჭიროა ჟურნალისტი იყოს მომზადებული, უზრუნველყოფილი, თავისი საქმის სპეციალისტი და ზნეობრივათ ფაქიზი. ამ ღირსებათა გარეშე ჟურნალისტიკა სახიფათო იარაღათ გადაიქცევა. მართალია, დღევანდელ პირობებში შეუძლებელია ყველა წრის და მიმართულების ჟურნალისტების ერთად თავის მოყრა, რადგან საზოგადოების დიფერენციაციამ იქამდის მიაღწია, რომ დღემდის ზოგიერთი უდავო და უეჭველი ზნეობრივი შეხედულებანი სადავოთაა გამხდარი, მაგრამ მაინც არის დარჩენილი ბევრი საერთო შეხედულება-მოთხოვნილებანი პროგრესიულათ წოდებულ მუშაკთათვის და ამათი შეერთება კი შესაძლებელია. მაშ, რა აბრკოლებს საქმეს. მე მგონია უმთავრეს როლს აქ თამაშობს ერთმანეთის უნდობლობა. დღესაც მოიპოვებიან თფილისში ისეთი რედაქციები, რომელთაგან არც ერთი კაცი არ ჩაწერილა ჟურნალისტთა საზოგადოებაში თუ არ უნდობლობით, სხვა რით უნდა აიხსნას ასეთი საქციელი. ზოგიერთები იმითი იმართლებენ თავს, რომ ჟურნალისტთა საზოგადოება „ტფ. ფურც.“-ის თანამშრომელთა ჯგუფმა დააარსაო და ის „ლისტოკის“ რედაქციის განყოფილება არისო. ამიტომ ჩვენ მას ვერ მივეკარებითო. მეორენი კიდევ, რამდენათაც ვიცი, გაურბიან ამ საზოგადოებას იმ მოსაზრებით, რომ საჭიროთ მიაჩნიათ ეროვნული ორგანიზაცია და ყველა ჟურნალისტების შეერთებას შეუძლებლათ სთვლიან. ჩემი აზრით ორივენი შემცდარი არიან. პირველნი თუ მართალნი არიან ისტორიულათ, ცდებიან თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. მეორენი კი, შემცდარი არიან არსებითად, რადგან ჩვენში არც ერთი ერის ჟურნალისტებს არ შეუძლიათ ცალ-ცალკე იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რომელიც საზოგადოებას აქვს დასახული მიზნათ. ამ მხრით მეტათ ღარიბია ყველა ადგილობრივი ერები. გარდა ამისა თუ რომელიმე საქმეში შეიძლება ერთა სოლიდარობაზე ლაპარაკი, მათ შორის პირველ რიგში პრესა იქნება. „ლისტოკის“ შიში ანუ ზიზღი კი ვერაფერი თავის გასამართლებელი საბუთია, რადგან ეს მხოლოდ მოშიშართა სისუსტის მაჩ-

---

ლობე, შემოიტანა და ცეცხლი გააჩაღა. გუზგუზა ცეცხლის დანახვაზე ბავშვები გამხიარულდნენ. სამივემ ხარბათ მიუშვირა ცეცხლს ტიტველა წვივები.

— მოგშივდათ შვილებო! მოგშივდათ?

— ძალიან მოგვშივდა დედა!—ერთხმათ შესძახა სამივემ და თვალები დედას მიაშტერეს. თვითოეულ მის ხელის განძრევას თვალს აყოლებდნენ. სამივე დარწმუნებული იყო, რომ დედა რამე საჭმელს მიუტანდა მათ. მოლოდინი არ გაუცრუვდათ. ნინომ ამოიღო ხელსახოცში გახვეული პური. პურის დანახვაზე ბავშვებს თვალები გაუბრწყინდათ. სამივე ფეხზე წამოდგა, კისერი წაიგძელეს და გატაცებით ელოდენ როდის მისცემდა დედა თავის წილს. პურის გემო მათთვის უცხო ხილი იყო. ნინომ გასტეხა სამათ პური და დაურიგა. ბავშვები ცეცხლთან დასხდნენ და ხარბათ დაუწყეს ჭამა.

მშიერი ნინო სიამოვნებით შესცქეროდა შვილების კმაყოფილ სახეს.

— სად იშოვნე დედა ამდენი პური?—შეეკითხა სანდრო.

— სად იყო დედი პური?—კითხა გრიშამ.

— რა კაი პურია?—თავისთვის ჩაილაპარაკა გოჩამ.

— იაკობის დუქნიდან წამოვიღე შვილო, ჭამეთ, თქვენ გენაცვალოთ თქვენი დედა, გაძეხით.

— შენ არ გინდა დედა?

— არა დედა! მე იქ ბევრი ვჭამე.

საბრალო ნინოს მთელი დღე ლუკმა არ ჩაედვა პირში, მაგრამ მას არაფერი უნდოდა. ის მაძღარი იყო, როცა ხედავდა თავის შვილების სიამოვნებას.

ბავშვებმა მადიანათ შესჭამეს პური. პატარა გოჩას ჩაეთვლიმა. დედამ აიყვანა, გრძნობით ჩაკოცნა და დაკონკილ საბნის ქვეშ შეახვია.

— დაწექით შვილებო! ალერსიანათ მიმართა მან სანდროს და გრიშას.

— შენ არ დაწვები დედა?

— კი დედა! დაწექით თქვენ და მერე მე დავწვები.

ბავშვები წამოდგნენ და ჩაწვნენ.

— დედა, ხვალ პურს კიდევ მოგვიტან?

გამოეღვიძა პატარა გოჩას და გადმოსძახა დედას.

— კი, გენაცვალოს დედა, მოგიტან. გოჩას სიტყვებმა საბრალო ნინოს გული დაუთუთქა. ის დარწმუნებული იყო ხვალ პურის ნატეხს იშოვნიდა.

ბავშვებს ჩქარა ჩაეძინათ. ნინო დიდხანს იჯდა ჩამქრალ კერასთან და საზარელი ფიქრები გულს უღრღნიდა. ცეცხლი ჩქარა, ქოხში ჩამობნელდა. გარეთ ისევ ისმოდა ქარის საზარელი ზმუილი და წვიმის შხაპუნი. ნინო წამოდგა, კარები ჩაკეტა და ტანთ არ გაუხდია ისე მოუწვა შვილებს. „თქვენ შემოგევლოს თქვენი უბედური დედა“ ჩაილაპარაკა მან და გრძნობით ჩაკოცნა სამივე. ის იწვა, მაგრამ მის თვალს რული არ ეკარებოდა. ის თითქო ფიქრებით გადაქცეულიყო. მოაგონდა პატარა გოჩას სიტყვები და საზარლათ ამოიკვნესა. „მოგიკვდეს თქვენი დედა, ვინ იცის, შვილებო, ხვალ კი არა, იქნებ თქვენს სიცოცხლეში ვერ ეღირსოთ პურის ნატეხს. რათ გამაჩინა ღმერთმა ასე უბედური. ჩემს სიცოცხლეში ერთხელ არ გამიხარია. ჯერ ქმარი მყავდა და ავათ იყო თუ კარგათ, ვცხოვრობდი. ისიც წამართვა ღმერთმა და დავრჩი ღვთის ანაბარათ. აღარ ვებრალები აღარც ღმერთს და აღარც კაცს. ნეტა რა შევცოდე იმ ღმერთს? განა ჩემს მეტი ვერავინ ნახა, რომ დაესაჯა, რათ გამირისხდა? წვითა და დაგვით დათესილი ყანა გახმა, მჭადი მენატრება, შვილები შიმშილით მეხოცება, იმდენი არა მაქვს, რომ მშიერი შვილები დავაპურო. უსამართლობა! უსამართლობა აქაც და იქაც. ყველამ ჩემზე მოიცალა. სიმწრით, საწყლათ ნაკეთები აბრეშუმის ფული, რომლითაც ქვეყნის გაკეთებას ველოდი, ხუცესმა წაიღო დრამის ფულში, ერთად ერთი ჩემი იმედი ძროხა, რომელსაც აღდგომის კვერცხივით შესცქეროდენ ჩემი საწყალი ბავშვები, ჩემს თვალ-წინ დაკლეს და შეჭამეს. ეხლა კიდევ სხვა ათას გადასახადს მთხოვენ, მარა რომ აღარაფერი მაქვს ეხლა მე ხომ აღარ დამკლავენ, ან რომ დამკლან ვის რათ უნდა ჩემი ძვალი და ტყავი?! სად არის სამართალი, სად?—ფიქრობდა ნინო და ვერ გამოერკვია თუ რათ ხდებოდა ასეთი უსამართლობა. „იძინეთ შვილებო იძინეთ, ხვალ დილით ისევ შიმშილი მოგელით. მე აღარ შემიძლია ამდენი უბედურობის ატანა, მე აღარ შემიძლია ვუყურო თქვენს უბედურობას. უმალ თქვენი უბედური დედა უნდა დამიწვდეს, სანამ თქვენს სიკვდილს მოვესწრებოდე. მთელი ქვეყანა შევაწუხე, ყველას თავი მოვაბეზრე, აღარავინ არაფერს მიშველის. დღეს, მჭადის გულისთვის მთელი სოფელი შემოვიარე, მაგრამ ყველა გაჭირვებულია, ყველას აკლია და მე ვინ რას მიშველის. ბოლოს დუქანში ერთად ერთი თავსახვევი შალი დავაგირავე და მშიერი შვილების გასაძღომი პური ვიშოვნე. ხვალ რა ვქნა? ხვალ ვის მივმართო? ზევ? მასზევ? განა შეიძლება ყველა ამ უბედურებას გაუძლოს კაცმა? სად არის სამართალი? განა მღვდელს შეერგება ჩემი, წვითა და დაგვით ნაშოვნი ფულები? ან კიდევ ჩემი მარჩენალი ძროხა? რათ არ შეიცოდეს ჩემი მტირალა ბავშვები, როცა ისინი საცოდავათ მისდევდენ ძროხას და ეხვეწებოდენ ნუ წაგვართმევთო? საბრალო ჩემი პატარა გოჩა! მახსოვს, როგორ წამოკრა ფეხი ერთმა დარაჯმა და ბურთივით გადაისროლა ტალახში. მახსოვს, როგორ წავედი მამასახლისთან და მუხლმოდრეკით შევეხვეწე ედროვებიათ ცოტა ხანს გადასახადი. მან ამხედ-დამხედა, რაღაც უცნაურათ თვალები აათამაშა და ოთახში მიმიწვია. იქ ურცხვათ ხელი მომკიდა და მითხრა: „თუ ჩემ სურვილს აასრულებ ყველაფერ სიკეთეს გიზამო.“ ამ სიტყვებმა თავზარი დამცა. აღარ მახსოვს რა ვქენი. მახსოვს მხოლოდ, რომ გარეთ გამოვარდი და ხარხარით გამომაცილეს. ღმერთო! ღმერთო! სადა ხარ? სად? ნუ თუ ჩემთვის მოიცალე? სად არის სამართალი, სად? ვის უნდა მივმართო? სად წავიდე? არის განა ამ ქვეყნათ სამართალი? არა, არა! არც აქ და არც იქ. ჩემისთანა საწყალისთვის სამართალი არ არის. მე რომ მდიდარი ვიყო ჩემთვის ყველაფერი იქნება.“ ნინომ თავი გააქნია, თითქო ფიქრებიდან გამოერკვა და ისე იყო რამდენიმე წუთს გარინდებული.

— შვილებო! შვილებო!—უცბათ წამოიძახა მან და შეეშინდა კიდეც თავისი ხმისა.—მე არ შემიძლია ამ უბედურების ატანა.

შავმა ფიქრებმა კვლავ შებოჭა ის.

შუაღამეზე გადასული იყო, როცა ის ფეხ აკრეფით წარდგა ლოგინთან, გაჩერდა ტახტის წინ და გიჟივით მძინარე ბავშვებს დააშტერდა. მოზღვავებული გრძნობა გულში ჩაიკლა, გულის გამგმირავი ხმით ამოიკვნესა და ჩუმათ, ქურდულათ გრძნობით აკოცა შვილებს ის საჩქაროთ გამოტრიალდა, გაალო სახლის კარები და გავიდა გარეთ. უცბათ კარებთან შეჩერდა, თვალი მოავლო ქოხს, ეზოს და ყოყმანი დაიწყო. ეტყობოდა რაღაც ძნელი საქმე გადაეწყვიტა.

— მშვიდობით შვილებო! მშვიდობით ჩემო დანგრეულო ქოხო! მშვიდობით სახლ-კარო! მშვიდობით მეზობლებო! მშვიდობით ყველა, შვილებო! შვილებო! ნუ დასწყევლით საბრალო თქვენ დედას. მას აღარ შეუძლია აიტანოს თქვენი უბედურება, აღარ შეუძლია უყუროს თქვენს შიმშილით სიკვდილს. მისთვის აღარც ღმერთია და აღარც კაცი. გღალატობ, ჩემო უბედურო შვილებო, მშვიდობით? საცოდავათ ჩაილუღლუღა საბრალო ნინომ, წყნარათ, ათრთოლებული ტუჩებით კარებს შეეხო და მტკიცე ნაბიჯით გასწია წინ.

მდინარე ქაფაურა, თითქოს რაღაცის მოლოდინში, არა ჩვეულებრივათ ახმაურდა და ქუჩქიანი ტალღები ძალზე აათამაშა. ქარმა ძლიერ დაჰბერა და შვილის დამკარგავ დედასავით მოთქმის ხმით დაიზმუილა.

ნინო ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა წინ. გზაში ქარმა თავსახვევი მოსტაცა და იქვე ლობეს მიაფინა, მაგრამ მას არაფერი გაუგია. თმა გიჟივით გეეწეწა. ის მოვიდა მდინარის ნაპირას და უცბათ შეჩერდა, თითქო რაღაც გაახსენდა. «სად არის სამართალი, სად“? უნებლიეთ წამოიძახა მან.

— „აქ არის, აქ.“—ჩაიხითხითეს ქაფაურის ქუჩქიანმა ტალღებმა, ნინომ ერთხელ კიდევ მოიხედა უკან, ერთხელ კიდევ მოაგონდა მძინარე ბავშვები და გადაეშვა აქაფებულ მდინარეში.

ქუჩქიანი ტალღები მძლავრათ ახმაურდენ და მაგრათ ჩაიხვიეს ნინოს ტანჯული გვამი.

გათენდა დილა. ბუნება თითქო დაკმაყოფილდა ღარიბი მსხვერპლით. ქარი ხანგამოშვებით ნელის ხმით ზმუოდა. ყველაზე ადრე პატარა გოჩას გამოეღვიძა. მიიხედ-მოიხედა და რაკი ქოხში დედა ვერ დაინახა, ჩუმათ წამოდგა, გაალო კარები და ფეხ აკრეფით გავიდა გარეთ. სიცივისაგან აძიგძიგებული, დაფლეთილ პერანგის ამარა ჩაჯდა კუთხეში და გულსაკლავათ დაიწყო:

— დედააააა! დედააააა!

ირეთელი.

ვენებლია. ამიტომ აუცილებლათ საჭირო და შესაძლებელიცაა ამ საზოგადოების გამოცოცხლება. ეს შეუძლია დღევანდელ კრებას, თუ მას დაესწრებიან ადგილობრივი პრესის ცხოველი ელემენტები და ამ უკანასკნელთ აღეძრებათ ასეთი სურვილი. ხოლო ვისაც ასეთი იმედი არა აქვს და თუ ასეთია უმრავლესობა, მაშინ ისევ ისა სჯობს პირდაპირ დავადგინოთ დაიშალოს საზოგადოება. ცოცხა-ლმკვდარი ორგანიზაციის თვალ-წინ დგომა კი ყველასათვის სასირცხოა.

წევრი.

პასუხი ბ-ნ ს. ტოროშელიძეს.

სამედიატორო სამართალში მიწვევთ. რასაკვირველია, თანახმა ვარ. გსურთ, რომ რიდე ავიხადო; ამაში კი ვერ დაგაკმაყოფილებთ ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო. ეს მიზეზი თქვენც იცით. სასამართლოს წინაშე წარსდგება „იკა“.

სანამ თქვენს წერილს შევეხებოდე, მე მინდა ვიკითხო: ბ. სვირელი? ის რალამ გააჩუმა? ან იქნებ თქვენ და ის ისე ხართ შეტყუპული, რომ თქვენგან ნასროლი ხელთათმანი მისი თითებისთვის ზედგამოჭრილია? იქნებ ბ. სვირელი გვეთანხმება კიდეც. უკანასკნელ შემთხვევაში ის თქვენზე გონიერი და წინდახედული ყოფილა.

ახლა მინდა შევეხო თქვენს წერილში მოყვანილ ორ ტყუილს: 1) სად და როდის მოვუწოდებდით ჩვენ ბოიკოტისაკენ საზოგადოებას? ეს ხომ მტკნარი სიცრუეა. სიცრუეს კაცი მაშინ მიმართავს ხოლმე, როდესაც თავის გასამართლებლათ მას სიმართლე არ მოეძებნება.

2) სად და რომელი თვალებით ამოიკითხეთ, რომ ახალი „წრის“ დაარსებით თფილისის მუშა ხალხი დაიღუპება? „უკიდურესი რეაქციონური საზოგადოებაც ვერ დაღუპავს მუშა ხალხს“-ო—ამბობთ თქვენ. დავანებოთ ბ. ტოროშელიძე, თვალის ქნევას თავი დაიღუპება თუ არ დაიღუპება, მე აქ ამ კითხვას არ შევეხები, ის კი ვიცი, რომ თქვენ მუშების გამორეკა გინდოდათ სექციიდან და ახალ „წრეში“ არც ერთი მუშა არ აირჩიეთ არც ერთ აღმასრულებელ ორგანოში. ალბათ, ამ ნაკლსაც მერე გაასწორებთ, არა?

„არც ერთი დამფუძნებელი წევრი არ იყო თანახმა, რომ წესდება უცვლელათ დარჩენილიყოს“-ო—ამბობთ თქვენ. წესდება უვარგისია, ამაში თქვენ ახლა გვეთანხმებით. გვპირდებით შესწორებას. რისთვის, რა მიზნით იმუშავებდით უვარგისს წესდებას? ჩვენ დაგიმტკიცეთ, რომ ეს წესდება უბრალო მომაკვდავს არ აძლევს უფლებას და საშუალებას მუშაობისას, მუშები კი უბრალო მომაკვდავთა კატეგორიას ეკუთვნიან. „არ მითქვამს: მუშები რა მოხელეები არიანო“. თქვით თუ არა, ამას სამედიატორო სასამართლო იტყვის და რომ მუშები თქვენთვის არაფერი მოხელეები არ არიან, ეს თქვენ უკვე დაამტკიცეთ თქვენი წესდებით და იმ ფაქტით, რომ ისინი „წრეში“ არ აირჩიეთ. მე აღარ მეგონა თუ იმასაც დამტკიცება ესაჭიროებოდა, რომ ყოველი „საზოგადოების“ სიგრძე-სიგანე მისივე წესდებით იზომებოდა.

თქვენ გგონიათ, რომ 4 მარტის კანონი ძალიან მრუდეთ აჩვენებს საზოგადოების ფიზიონომიას? მე კი ვიტყვი: ძალიან სწორეთ; ისე სწორეთ, როგორც თქვენს ფიზიონომიას თქვენგან შემუშავებული წესდება. გვაუწყებთ, რომ ცხოვრება უსწრებს კანონსო. მოგაგონებთ, რომ ეს შეეხება ძველ კანონს, უფრო სწორეთ რომ ვთქვათ: მოძველებულ კანონს, მაგრამ ის კანონმდებელი, რომელიც ცხოვრების ახალ მოვლენას, ახლათ აღმოცენებულ უთიერთობას, მიუხედავათ იმისა, რომ ის ახლათ, პირველათ ასხამს იურიდიულ ნორმაში, მაინც მას ეს იურიდიული ნორმა ცხოვრებასთან ჩამორჩენილი გამოუვა, ეს კანონმდებელი თქვენ დაგემსგავსებათ და ორნივე უვარგისი იქნებით. და განა თქვენ მართლაც გგონიათ, რომ 4 მარტის კანონი ცხოვრებას არ შეესაბამება? სცდებით, „მეგობარო ჰორაციო“! ვერ ყოფილხართ კანონების რიგიანი ამხსნელი; არ გცოდნიათ კანონმდებლობის სულისკვეთების გამოცნობა, მისი გულის სიღრმე თქვენთვის მიუწდომელი ყოფილა. მომისმინეთ. რუსეთში ამოძრავდა მუშა ხალხი: გაფიცვები, გაფიცვები, სულ მუდამ გაფიცვები. ეკონომიური ბრძოლა ერთი გვერდით პოლიტიკას ეხებოდა. აჰყვავდა, გაძლიერდა მრეწველობა. მრეწველობას სიმშვიდე ესაჭიროება. შეერთებულ მრეწველებს შეერთებულ მუშებთან ბრძოლა უფრო ეხერხებათ. ბიუროკრატიაც დაინტერესებულია, რომ მუშა ხალხი პოლიტიკას ასცდეს და თავის ეკონომიურ ინტერესებზე იზრუნოს. ყველა ამ ფაქტორებმა ნათლათ, მკაფიოთ, რელიეფიურათ იჩინეს თავი 1905 წელში. მრეწველებისათვის, ბიუროკრატიისათვის აუცილებელი საჭირო შეიქნა იმისთანა კანონი, რომელიც შეამსუბუქებდა, შეასუსტებდა კაპიტალს და შრომის შორის ბრძოლას: გამოიცა 4 მარტის 1906 წლის კანონი. მიაქციეთ თქვენი ყურადღება დატას. ეს კანონი რუსეთში წარმოუდგენელი იყო 1806-წ-ში. ამ რიგათ ოთხი მარტის კანონ-სარკეში ჩვენ ვხედავთ იმ წლის სახეს, როცა ის გამოიცა. მართალია, ამ კანონმა სასწორი საგრძნობლათ ერთი მხრით გადახარა, როგორც ეს საზოგადოთ დღევანდელ წესწყობილებას სჩვევია, მაგრამ ის 1906 წ. ბატონ-პატრონების სულის კვეთების სარკეა მაინც.

„ვაი თუ ცრუ მოწმეების მოწვევაც არ ითაკილოთო,“—გაუწითლებლათ ამბობთ თქვენ. როგორ არ გრცხვენიათ? თქვენს კისერს ჩემ ხმალს უწვდით და განა თქვენ გგონიათ ჩემი ხმალი ისეთი სუსტია და თქვენი კისერი ისეთი მაგარი, რომ თუ არ ცრუ-მოწმეებით ისე ვერ შევსძლებ სასამართლოში წარსდგე და იქ დაგიმტკიცო ყოველივე ის, რაშიაც ბრალს გდებთ?

ვნახოთ. ჰა ბურთი, ჰა მოედანი გაგვასამართლონ მედიატორებმა. **იკა.**

პროვინცია

ოზურგეთი. ამ დღეებში დააპატიმრეს ნესტორ სურგულაძე და მისი სიმამრი ასალო გოგიბერიძე ორი თავისი შვილით.

— 3 ნოემბერს დააპატიმრეს და ადგილობრივ საპყრობილეში ჩასვეს ფერშალი გიორგი არობელიძე. როგორც ხმა დადის, მას ბრალსა სდებენ, თითქოს ის მონაწილე იყოს ამას წინათ ხვარბეთში მომხდარ მკვლელობაში. ამბობენ აგრეთვე, ხვარბეთის საზოგადოებამ ამის გამო არობელიძე სხვებთან ერთად „პრიგოვორით“ გადასცა ადმინისტრაციასო.

— ამავე დღესვე ოზურგეთში დააპატიმრეს ვაჭარი სერ. ჩხიკვიშვილი.

—

სოფ. ხვარბეთი (გურია). გასულ ზაფხულს აქ დამხრჩვალი იპოვეს თაიძის ცოლი. ხალხის ერთმა ნაწილმა ეჭვი თაიძეზე მიიტანა, რადგანაც ცოლსა და ქმარს შორის დიდი ხნის უკმაყოფილება ყოფილიყო. ეს არავინ დაიჯერა.

ოქტომბრის შუა რიცხვებში ერთ ყრილობაზე ამ საქმის გამოსარკვევათ ხალხმა 24 კაცისაგან შემდგარი კომისია აირჩია. კომისიას უნდა გამოერკვია არა სამედო პირები. კომისია მალაზონიას, გიორგი ლოლიძის და მ. თავბერიძის მეთაურობით გამოძიებას ამთავრებს. 31 ოქტომბერს საზოგადოებას თავის განაჩენს უცხადებს. მ. იმნაძე, ს. მერვანიძე, გ. არობელიძე, მ. აბაშიძე, ქარჩილაძე და ელიზბარ დოლუა, აი ესენია ყველაფრის ჩამდენია და მოგვაშორეთ პოლიციამო. ხალხი დასტურს აძლევს. პრიგოვორს შეუდგინეს, ხელი მოაწერეს და მთავრობას წარუდგინეს. ამ ამბავმა მთელი გარემო ხალხი გააკვირა. ის ვინც იღვწოდა საზოგადოების წარმატებისათვის, ქალის დამხრჩობლათ მონათლეს, ავაზაკთა სიაში ჩასწერეს. ის, ვინც პრინციპიალურათ უარყოფს ასეთ სიმხეცეს და პრაქტიკაშიაც ატარებს ამ პრინციპს მას ახვევენ თავზე ამ საშინელებას და ცივ „ტუნდრებისაკენ“ ისტუმრებენ 80 წლის მოხუც დოლუას. რატომ გადადგა ასეთი ნაბიჯი ხვარბეთის გარიაქციონერებულმა ხალხმა? რატომ გასწირა ის, ვინც მის ტკივილს თავის ტკივილათ გრძნობდა?

სოფლის მესვეურობა დღეს რეაქციონერებმა ჩაიბარეს და ისინიც ჯავრს იყრიან ყველა იმათზე, ვინც კი გაბედა და განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს მათ წინააღმდეგ იმოქმედა. დიახ, დღეს ჯავრს იყრიან...

ჰერ.

—

რაჭა. წრევანდელმა წლიწადმა წელში გაწყვიტა აქაური გლეხები. ჯერ ყინვამ მოწვა ვენახები და ხეხილები, მერე ზაფხულის გვალვამ ამოახმო მიწაში ხათესი რაც იყო და სითბები. აქამდის თუ რამოდენიმე მაინც მოიღოდა წლის საზრდოს, ეხლა ყველას შიმშილი კარს ადგია. ჯერ ისევ შემოდგომაა და მცხოვრებლებს კი საზრდო შემოაკლდათ. ამ ზაფხულზე თუ 1 კოდი სიმინდი 2 მ. და 40 კ. იყო, ახლა 3 მანეთია. მცხოვრებლები თვალცრემლიანი მიერეკებიან თავიანთ მარჩენალ პირუტყვს ბაზრისკენ და ჩალის ფასათ ყიდიან. აგერ 35 წელია, რაც რაჭის მაზრაში მაღაზიის ფულს აგროვებენ კომლზე 40 კ., შიმშილობის დროს დასახმარებლათ, რომელიც ინახება მთავრობის კასაში, მარა არ იციან როგორ გამოიტანონ ეს ფული. გაჭირვება ეხლა ადგიათ კარს.

სწორეთ სულზე მისწრება იქნება ეხლა ამ ფულის გამოტანა. შეიძლება დაარსდეს კოოპერატიული საზოგადოებები, რომლებიც გაჭირვებულ ხალხს დიდს დახმარებას გაუწევს. სასურველია გამოჩნდებოდნენ ისეთი პირნი, რომელნიც თავს იდებენ და მით დაიხსნიან შიმშილით სიკვდილისაგან უკიდურესათ გაჭირვებულ ხალხს.

ილიკო.

ცოტა რამ

თფ. სტამბების მუშათა ცხოვრებიდან.

II

პირველ წერილში ჩვენ მოკლეთ აღვნიშნეთ თუ რანაირ გონებრივ კრიზისს განიცდიან დღეს სტამბის მუშების უმრავლესობა, ვთქვით, თუ როგორ აცდენ ისინი განმანთავისუფლებელ მოძრაობის დროს არჩეულ გზას. ახლა კი გვინდა გავარკვიოთ, თუ რა ზიანი მოუტანა მათ ამ მდგომარეობამ, როგორც მატერიალური მხრივ, ისე უფლებრივათაც.

სტამბის მეპატრონენი, ხედავენ რა მუშების ასეთ დაქვეითებას, მათ დაქუცმაცებას, ყოველნაირათ ცდილობენ რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა და ამასთანავე მოხერხებულათ სარგებლობენ არსებული მდგომარეობით. არას ვიტყვით იმ ხაზეინებზე და საზოგადოთ სხვა დამქირავებლებზე, რომლებიც იმ თავითვე „მამაშვილურ“ განწყობილებაში არ იყვენ მუშებთან. ესენი არასოდეს, თვით მოძრაობის უმწვერვალეს განვითარების დროსაც, არ მალავდენ თავიანთ გულის ნადებს და საჭიროების დროს მუდამ მოაგონებდენ მუშებს, რომ მათი „ბატონობა“ წარმავალია და დღეს თუ ხვალ ისევ „ჩვენი კერძი“ გახდებითო. ესენი, დღეს, რა თქმა უნდა, ნიშნის მოგებით ეუბნებიან მუშებს: „აკი გეუბნებოდით, ერთი დრო არ შეგრჩებათო“ დიახ, ამათზე ლაპარაკი მეტია. ჩვენ გვინდა უფრო „ლიბერალ“ და „სოციალისტ“ დამქირავებლებზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება, რადგან ცხვრის ტყავიდან მგლის განთავისუფლება უფრო საჭირბოროტო კითხვათ მიგვაჩნია.

ცნობილია, რომ ამ ბოლო დროს როგორღაც ჩვენი პრესის ზოგიერთი რედაქტორ-გამომცემელნი ვერ არიან კარგ განწყობილებაში მუშებთან. ხშირათ გვესმის მათგან, რომ ისინი დაღუპეს ასოთ-ამწყობებმა, რომ ისინი ზნე-დაცემული ხალხნი არიან და უმჯობესათ სცნობენ მათთან საქმის დაჭერას გვერდი აუარონ და ან სულ შეაჩერონ გამოცემა, ან ამწყობი მანქანა შეიძინონ და ასე „ბარიშნების“ (ნიკოტინის სიტყვებია) დახმარებით მუშების ჯავრი ამოიყარონ. რაშია საქმე? რამდენათ საფუძვლიანია მათი ასეთი ამხედრება?

როგორც ვიცით, „უმიზეზოთ მუწუკიც კი არა ჩნდება“ და უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მოვლენასაც—«ლიბერალ-სოციალისტ» ინტელიგენტთა უკმაყოფილებასაც მუშებისადმი აქვს თავისი მიზეზი. ჩვენის აზრით აქ არაფერი გასაკვირი არ არის. ჩვენ ვიცით, რომ დღევანდელი ცხოვრების დედა ძარღვს ეკონომიური ინტერესები წარმოადგენენ. იგივე ინტერესი განაგებს სხვადასხვა ჯგუფთა, კლასთა და პიროვნებათა შორის დამოკიდებულებას. ჰო-და რისთვის უნდა გვიკვირდეს, როცა რომელიმე, თუ გინდ „სოციალისტი“ გამომცემელი, როცა მისგან მუშები მოითხოვენ უკეთეს ხელფასს, როცა ეს ხელფასის მომატება ვერაფერ ხეირს დააყრის მის ჯიბეს, კაი გუნებაზე ვერ დადგება! მართალია, ისინი „პრინციპიალურათ“ წინააღმდეგნი არ არიან მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების, პირიქით, ისინი დიდი სიამოვნებით დაუთმობენ მუშებს რომელიმე კაპიტალისტის ქონების ნაწილს, ხშირათ მთელ საცხოვრებელსაც, მარა ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამ გულუხვობით მათ პირადათ არაფერი დააკლდებათ და შემატებით კი, ვინ იცის... ნიმუშათ მოვიყვანოთ „ზაკავკაზიე“-ს რედაქტორ-გამომცემელი ცნობილი თავადი გ. ამირაჯიბი. მართალია, „სოციალიზმი“ მისთვის არასოდეს არ წარმოადგენდა სატრფიალო რამეს, მარა არა მგონია «ლიბერალის» სახელი მაინც ადვილათ დასთმოს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეს პატივცემული თავადი ხშირათ ესარჩლება მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციებს და მათი განვითარება სასარგებლოთ მიაჩნია. აი სწორეთ ამ თავადმა იქამდე მიიყვანა საქმე ამ ერთი თვის წინათ, რომ იძულებული გახადა თავისი მომუშავენი—მუშაობაზე ხელი აეღოთ და მათ მაგიერ „შტრეიკბრეხერები“ შეეყარა. ამასაც არ დასჯერდა და რაღაც მოსაზრებით „მესამე“ პირიც მოიწვია დამხმარეთ, მაშინ, როცა ამას არავითარი საჭიროება არ მოითხოვდა. მარა აბა ერთი შეეკითხეთ, ექნება რამე საწინააღმდეგო, თუ იგივე მუშები, სხვა რედაქციებს, თუ გინდ „თფილისის ფურცელს“ უფრო „სასტიკათ“ მოეპყრან? ასეთი მაგალითები, კიდევ ბევრი შეგვეძლო მოგვეყვანა, მარა დასახასიათებლათ ესეც საკმარისია.

რაკი საქმე ასე მოეწყო, რაკი არც შინაური და არც გარეშე აღარ ინდობდენ მუშებს, რაკი ყველანი შეერთდენ მათ წინააღმდეგ, და მუშები კი ჯგროვანათ ვერ იცავდენ მოპოებულ პირობებს, მათში არ არსებობდა საჭირო ერთსულოვნება, რა თქმა უნდა ადვილათ უნდა დანებებოდენ მტერს და აკი ასეც მოხდა! სადღაა წინანდელი ხელფასი; სადღაა მუშების მიერ მიღება-დათხოვის უფლება, სადღაა უფასო წამლობა და სხვა მსგავსი სიკეთენი, რომელნიც 1905 წლამდე მოიპოვეს მუშებმა? ოთხი წლის განმავლობაში არც ერთ სტამბაში არც ერთ გაზეთზე ხელფასი არ მომატებია მუშებს, დაკლებით კი თითქმის ყველას 15—30 პროც. დააკლდა. ახლა მიხედეთ სტამბის ჰიგიენურ პირობებს. თფილისის სტამბებში ვერ ნახავთ ვერც ერთ ცოტათ თუ ბევრათ სუფთათ მოწყობილ სტამბას ესენი თითქოს განგებ ყველას ერთსა და იმგვარსავე ნესტიან სარდაფებში მოუთავსებიათ. თუ რომელიმე სტამბა გამონაკლს შეადგენს ამ მხრივ, ესენი არ არიან სახეში მისაღები, რადგან ამნაირ სტამბებში ან სრულიათ არ მუშაობენ დაქირავებული მუშები ან ძლიერ მცირე. ეხლა თქვენ წარმოიდგინეთ რანაირათ მოქმედობს ასეთი ანტი-ჰიგიენური პირობები მუშათა ჯანმრთელობაზე! ტყვიით და საღებავით მოწამლული ატმოსფერა, შეერთებული სინესტესთან, აბა რა ხეირს დააყრის მუშებს? ამას თუმცა გრძნობენ როგორც მუშები, ისე მეპატრონენი, მარა ძლიერ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, თითქოს საქმე მათ არ შეეხებოდეთ. ერთადერთი, რომლებიც ჯერ-კიდევ შერჩათ მუშებს —ეს 8 საათის სამუშაო დღეა, მარა მოსალოდნელია ესეც ხელიდან გამოეცალოთ. ჩვენ ვიცით, რომ ხაზეინებში დიდი მზადებაა, 8 საათის გასაუქმებლათ და ისევ ძველი სამუშაო დროის შემოსაღებათ. და უნდა ვიფიქროთ, რომ არც ამის განხორციელება გაუჭირდებათ თუ ასეთი მდგომარეობა კიდევ გაგრძელდა. ლაპარაკობენ აგრეთვე ღამიურ მუშაობის მოსპობაზე და დღიურის შემოღებაზე...

რა გვიშველის? ნუ თუ ასე გულგრილათ უნდა შევხვდეთ ჩვენი უფლებების ფეხით თელვას? ნუ თუ ხსნა არ არის?

ედამ ჭ—ლი.

(შემდეგი იქნება)

დრამატიული საზოგადოება და სახალხო წარმოდგენები.

(წერილი რედაქციის მიმართ)

„მომავალის“ მე-59 №-ში დაბეჭდილი იყო ჩემი მცირე შენიშვნა ქალაქის თვით მართველობის და სახალხო სოფლის გამგე კომისიის იმ დადგენილების შესახებ, რომლის თანახმათ ის ერთი დღე, რომელიც დათმობილი აქვს სახ. უნივერ. არსებულ ქართულ სექციას სახალხო წარმოდგენების გასამართავათ, დრამატიული საზოგადოება თავისთვის იტოვებდა და თვითონ იწყებდა წარმოდგენებს მართავს. ასე რომ, თუ ეს დადგენილება ცხოვრებაში გატარდებოდა, სახალხო წარმოდგენებს იმ სახით, როგორსაც დღეს არსებობს, [illegible] ცნობა, რომ დრამატიული საზ. [illegible] იწყებს წარმოდგენების [illegible] ხსენებულ დღეებში—ჩვენ ამოვიღეთ გაზეთ „დროებიდან“ №246. ახლა გაზეთ „ნ. რეჩი“ № 3 და თვით „დროება“ № 248 აცხადებს, რომ ეს ცნობა სინამდვილეს მოკლებულიაო. „ნ. რეჩი“ იმასაც გვატყობინებს, რომ დრამ. საზოგადოება მხოლოდ მაშინ ისარგებლებს ამ დღეებით, თუ სახალხო წარმოდგენები რაიმე საფრთხეში ჩავარდება, ხოლო თუ ასე საუცხოვოთ წავა სახ. წარმოდგენების საქმე, როგორც ეხლა მიდის, ჩვენ არას დროს ხელს არ შევუშლითო.

რადგან ჩემი შენიშვნა გამოწვეული იყო იმ ცნობით, რომ დრამატიული საზ. თვითონ იწყებს წარმოდგენას აღნიშნულ დღეებში, რომელიც დაბეჭდილი იყო „დროებაში“, ხოლო ეხლა გამოირკვა, რომ ეს ცნობა არ ყოფილა მართალი, და მაშასადამე, სახალხო წარმოდგენების საქმე ისევ ძველებურათ რჩება—მოვალეთ მიმაჩნია ჩემი თავი აღვნიშნო ეს და მით გავფანტო ის შთაბეჭდილება, რომელიც შეეძლო გამოეწვია ჩემს შენიშვნას. მით უფრო საჭიროთ მიმაჩნია ამის აღნიშვნა, რომ ჯერ კიდევ, სანამ აღნიშნული ცნობა გამოქვეყნდებოდა „დროებაში“, ზოგიერთები სიტყვიერათაც გვარწმუნებდენ, რომ სადაცაა დრამატიული საზოგადოება სახლს ჩამოგვართმევს და თვითონ დაიწყებს წარმოდგენების მართვასო...

მეგობარი.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

ბ-ნ სოლომონ მიროტაძეს.

ბ-ნო სოლომონ! ჩვენ მოვითხოვთ თქვენგან, რომ როდესაც ჩვენს ქარხანაში მუშტარი მოდის და ის არის უნდა ქარხანაში შემოვიდეს, თქვენ ამ დროს უკან მოსდევთ და უსირცხვილოთ მოსძახით: „რა გნებავთ, მობრძანდით, ჩვენ იაფათ ვყიდითო“ და ძალათ მიგყავთ თქვენსკენ. პატიოსანი ვაჭარი ასე არ მოიქცევა, ის დადგება თავის ქარხანაში და იქ ივაჭრებს, როგორც ეს შეშვენის ზრდილობიან ადამიანს, თუნდ ის ვაჭარი იყოს. გაძლევთ წინადადებას, რომ კიდევ აღარ გაიმეოროთ ეს ჩემს ქარხნის წინ.

(1—1) ძმები გ. და ლ. მიროტაძენი.

● ვიღებთ ყოველნაირ ●
საკერავს
კაბებს და თეთრეულებს იაფ ფასში.
მეორე თუმანოვის ქ. № 17.
(5—3) მარიამ რ. მელითაურისა.



გლეხთა ამხანაგობა
„კახეთი“
Товарищество крестьянскихъ кахетинскихъ виноградовладѣльцевъ
„Кахетія“

ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეინო მაღაზიებში, სასმელების დუქნებში, ტრაქტირებში და სასტუმროებში.

10 ბოთლს ზევით უგზავნით ვუმთავრესი საწყობიდან ჩვენის ხარჯით მხოლოდ თფილისში.

По такому этикету продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

უმთავრეს საწყობიდან ღვინო დაეთმობათ შემდეგ ფასებში:

№ 1 „ — 20 к. 16 „ — 3 р.
№ 2 „ — 25 к. 16 „ — 3 р. 60 к.
№ 3 „ — 35 к. 16 „ — 5 р. 10 к.
№ 4 „ — 50 к. 16 „ — 7 р.

Адресъ: Тифлисъ, Русская ул. д. № 7.
Михаилу Николаевичу Кодалову.

სასტუმრო
„ბორჯომი“
თფილისი, ვაგზლის ქ. № 17.
ახლათ შეკეთებული სუფთა ოთახები ხელმისაწვდომ ფასებში: დღე და ღამით 50 კ.-დან 3 მ.-დე. თვიურათ ძლიერ დაკლებულ ფასებში.
პატივისცემით მიხაილ ქოიავა და
(0—6) ევგენი შერტანავა.



1 მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათ 1 მანეთიდან
ხელის მაშინები 25 მანეთიდან
იყიდება იმპერიის ყველა ქალაქებში განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.
თფილისში სამი განყოფილებაა: 1) გოლოვინის პროსპექტზე; სასახლის პირდაპირ; 2) ვაგზლის ქუჩა, სახლი ენფიანჯიაცისა; 3) ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა.
20—9

სტამბა ამხ. „შრომა“. რუსის ქ. № 3